სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

16 / აპრილი / 2025 წ.

KA021761008563925

№ **5/20357**

სსიპ - ქალაქ თბილისის № 48 საჯარო სკოლას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 15.04.2025წ. № MES 5 25 0000411188 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ქონების იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 26.03.2025წ. № MES 3 25 0000335622 და 02.04.2025წ. № MES 3 25 0000364855 წერილების გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით, იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ქონება (საკადასტრო კოდი: № 01.12.02.014.015), იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ქონება, სსიპ - ქალაქ თბილისის № 48 საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სკოლის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/ საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №48 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ნუგზარი წამალაშვილი